

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 12 დეკემბერი სხდომის

ოქმი =17

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 27 წევრიდან, ესწრებოდა 17. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე. მუშაობაში მონაწილეობდა სტუ-ს რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.

სპიკერი:სანამ დღის წესრიგზე ვისაუბრებთ, მინდა მივულოცო 80 წლის თავი ბატონ აგული სოხაძეს და გაცნობთ სენატის გადაწყვეტილება მისი სენატის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი - სენატის მდივნის არჩევის შესახებ - მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

მოგახსენებთ, რომ ქალბატონმა თამარ ბუზიაშვილმა მოგვმართა განცხადებით, რათა განთავისუფლებულ იქნეს სენატის მდივნის თანამდებობისაგან. აღნიშნულ თანამდებობაზე მინდა წარმოგიდგინოთ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი ბექა კოპაძე. მინდა აღვნიშნო, რომ ბექა არის მოწადინებული და აქტიური სტუდენტი, იგი ასევე არის საფინანსო კომისიის მდივანი. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, იგი იქნება სენატის მდივანიც და მინდა მას წარმატება ვუსურვო.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სენატის მდივნის არჩევის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: განთავისუფლებულ იქნეს სტუდენტი თამარ ბუზიაშვილი სენატის მდივნის თანამდებობიდან (პირადი განცხადების საფუძველზე) და აღნიშნულ თანამდებობაზე არჩეულ იქნეს სენატის წევრი სტუდენტი ბექა კოპაძე.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი - სენატის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ - მომხსენებელი სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანისტიკის ფაკულტეტის მენეჯერად დანიშვნასთან დაკავშირებით, პირადი განცხადებით, მოგვმართა პროფ. მზია მილაშვილმა და გვთხოვა ვადამდე შევუწყვიტოთ უფლებამოსილება. მის ნაცვლად, ვაკანტურ ადგილზე წარმოგიდგინებთ ამავე ფაკულტეტის პროფესორს ზურაბ ტიტვინიძეს. ქალბატონ მზიას კი ვუსურვოთ წარმატება მის შემდგომ საქმიანობაში.

პროფ. მზია მილაშვილი: მინდა მადლობა გადავუხადო სენატის ყველა წევრს ამდენი ხნის ერთობლივი შეთანხმებული მუშაობისთვის და მინდა წარმატება გისურვოთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმოადგინა საკითხი სენატის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სენატმა გადაწყვიტა: არქიტექტურის, დიზაინისა და ურბანისტიკის ფაკულტეტის მენეჯერად დანიშვნასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე, ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება პროფ. მზია მილაშვილს. მის ნაცვლად, ვაკანტურ ადგილზე ცნობილ იქნეს ამავე ფაკულტეტის წამომადგენლის, პროფ. ზურაბ ტიტვინიძის უფლებამოსილება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტუ-ში სწავლებასთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება #696 – მომხსენებელი პროფ. ოთარ ზუმბურიძე.

პროფ. ოთარ ზუმბურიძე: საკითხი, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ, სენატის ადრინდელ სხდომაზე ინფორმაციის სახით უკვე იყო მოწოდებული და დღეს გვინდა დასამტკიცებლად წარმოგიდგენოთ იგი, კერძოდ კი წარმოგიდგენთ აკადემიური საბჭოს დადგენილებას №696:

I. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ქვეყნების მოქალაქეთათვის რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე სწავლების წლიური საფასური სპეციალობების მიხედვით შემდეგი ნიხრით (ეროვნულ ვალუტაში):

1. არქიტექტურა	– 3500
2. ინფორმატიკა	– 3200
3. ავტომატური მართვა	– 3500
4. საინჟინრო ფიზიკა	– 3000
5. გამოყენებითი მათემატიკა	– 3000
6. სამოქალაქო მშენებლობა	– 3200
7. ჰიდროტექნიკური მშენებლობა	– 3000
8. მეტალურგია	– 3200
9. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია	– 3000
10. კვების ტექნოლოგია	– 3000
11. ეკოლოგია	– 3200
12. ფარმაცია	– 3500
13. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	– 3500
14. საავტომობილო ტრანსპორტი	– 3200
15. რკინიგზის ტრანსპორტი	– 3000
16. მექატრონიკა და მანქანათმშენებლობა	– 3000
17. ენერგეტიკა	– 3200

18. ტელეკომუნიკაცია	– 3200
19. სამედიცინო ხელსაწყოთა მშენებლობა	– 3000
20. საინფორმაციო გამზომი ტექნიკა	– 3000
21. მართვის ავტომატიზებული სისტემები	– 3200
22. კომპიუტერული ინჟინერია	– 3200
23. კომპიუტერული მეცნიერებები	– 3000
24. ჟურნალისტიკა	– 3500
25. ეკონომიკა	– 3200
26. ბიზნეს ადმინისტრირება	– 3200
27. საბანკო ტექნოლოგიები	– 3200
28. ტურიზმი	– 3500
29. თარგმნა და თარგმანთმცოდნეობა	– 3000
30. საერთაშორისო ურთიერთობა	– 3500
31. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა	– 3500

II. ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების წლიური საფასური ბაკალავრიატში განისაზღვროს 3200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში;

III. აღნიშნული სასწავლო პროგრამების დატვირთვის შემსრულებელ პროფესორ–მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება რუსულენოვან სექტორზე განისაზღვროს კოეფიციენტით 2, ხოლო ინგლისურენოვან სექტორზე – კოეფიციენტით 3;

IV. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ შესაბამისი სპეციალობების მიხედვით რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამების მომზადება.

სპიკერი: ვფიქრობ, ეს საკითხი სენატმა უნდა გადაწყვიტოს დადებითად, რადგან ჩვენი უნივერსიტეტის პრესტიჟის საქმეა, ავამუშაოთ ინგლისურენოვანი პროგრამები, ბევრმა უნივერსიტეტმა უკვე ამ საქმეს ხელი მოჰკიდა, საკმაოდ წარმატებულად და ფინანსური მდგომარეობაც გაიუმჯობესა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. ოთარ ზუმბურიძემ წარმოადგინა საკითხი უცხო ქვეყნის მოქალაქეების სტუ-ში სწავლების მიზნით მოზიდვასთან დაკავშირებით. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 22 ივნისის დადგენილება =696.

სენატმა გადაწყვიტა:

I. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უცხო ქვეყნების მოქალაქეთათვის რუსულენოვან საბაკალავრო პროგრამებზე სწავლების წლიური საფასური სპეციალობების მიხედვით შემდეგი ნიხრით (ეროვნულ ვალუტაში):

1. არქიტექტურა	– 3500
2. ინფორმატიკა	– 3200
3. ავტომატური მართვა	– 3500
4. საინჟინრო ფიზიკა	– 3000
5. გამოყენებითი მათემატიკა	– 3000
6. სამოქალაქო მშენებლობა	– 3200
7. ჰიდროტექნიკური მშენებლობა	– 3000
8. მეტალურგია	– 3200
9. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგია	– 3000
10. კვების ტექნოლოგია	– 3000
11. ეკოლოგია	– 3200
12. ფარმაცია	– 3500
13. ნავთობისა და გაზის ტექნოლოგია	– 3500
14. საავტომობილო ტრანსპორტი	– 3200
15. რკინიგზის ტრანსპორტი	– 3000
16. მექატრონიკა და მანქანათმშენებლობა	– 3000
17. ენერგეტიკა	– 3200
18. ტელეკომუნიკაცია	– 3200
19. სამედიცინო ხელსაწყოთა მშენებლობა	– 3000
20. საინფორმაციო გამოზომი ტექნიკა	– 3000
21. მართვის ავტომატიზებული სისტემები	– 3200
22. კომპიუტერული ინჟინერია	– 3200
23. კომპიუტერული მეცნიერებები	– 3000
24. ჟურნალისტიკა	– 3500
25. ეკონომიკა	– 3200
26. ბიზნეს ადმინისტრირება	– 3200
27. საბანკო ტექნოლოგიები	– 3200

28. ტურიზმი	– 3500
29. თარგმნა და თარგმანთმცოდნეობა	– 3000
30. საერთაშორისო ურთიერთობა	– 3500
31. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა	– 3500

II. ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლების წლიური საფასური ბაკალავრიატში განისაზღვროს 3200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში;

III. აღნიშნული სასწავლო პროგრამების დატვირთვის შემსრულებელ პროფესორ-მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება რუსულენოვან სექტორზე განისაზღვროს კოეფიციენტით 2, ხოლო ინგლისურენოვან სექტორზე კოეფიციენტით 3;

IV. დაევალოს სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებს უზრუნველყონ შესაბამისი სპეციალობების მიხედვით რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი სასწავლო პროგრამების მომზადება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის პროფესორ ა. გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =818 – მომხსენებელი პროფ. აკაკი გიგინეიშვილი.

პროფ. აკაკი გიგინეიშვილი: წარმოგიდგინთ საკითხს ფიზიკის დეპარტამენტთან ზოგადსაუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირების საკონსტრუქტურო ბიუროს შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =818. ეს ბიურო დაკავებული იქნება ლექციებისათვის თვალსაჩინო მასალების მოძიებით, მათემატიკური მოდელირებით და სხვადასხვა სიმულაციების შექმნით, ამ საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოწვეული სრული პროფესორის შტატი. ამ საქმისთვის გათვალისწინებულია პროფ. დავით სონღულაშვილი.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე: აქ ყველანი განათლებული ხალხი ვართ და ყველამ ვიცით რა არის კონსტრუირება. რაც შეეხება ამ ცენტრს, მინდა გითხრათ, რომ ეს კონსტრუირება არაა, ეს უფრო დიზაინია. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ცენტრი დამტკიცდეს, ოღონდ შეეცვალოს დასახელება და ამ ცენტრს დავარქვათ მოდელირების ცენტრი.

სპიკერი: მე დავესწარი აკადემიური საბჭოს სხდომას, სადაც იყო განხილული ეს საკითხი. მას ყველა ფაკულტეტის წარმომადგენელი ესწრებოდა, საწინააღმდეგო აზრი კი არავის გამოუთქვამს. ბატონ ჯუმბერს აქვს ასეთი შენიშვნა და ბატონ აკაკის მინდა ვკითხო: მისაღებია თუ არა თქვენთვის მსგავსი ცვლილება?

პროფ.აკაკი გიგინეიშვილი: დიახ, მისაღებია. თუ სახელი ქმნის პრობლემას, თანახმა ვარ შეეცვალოს სახელი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეოთხე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი აღნიშნული ცვლილებით დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. აკაკი გიგინეიშვილმა წარმოადგინა საკითხი ფიზიკის დეპარტამენტთან ზოგადსაუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირების საკონსტრუქტურო ბიუროს შექმნის შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =818.

სენატმა გადაწყვიტა:

1. ფიზიკის დეპარტამენტთან შეიქმნას ზოგადსაუნივერსიტეტო ვირტუალური მოდელირების საკონსტრუქტურო ბიურო;
2. მიმდინარე სასწავლო წელს ბ-ნი დავით სონღულაშვილი ფიზიკის დეპარტამენტში მოწვეულ იქნეს სრული პროფესორის თანამდებობაზე.
3. საკონსტრუქტურო ბიუროს ხელმძღვანელად დაინიშნოს მოწვეული სრული პროფესორი დავით სონღულაშვილი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ცენტრის“ გაუქმების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =819 – მომხსენებელი პროფ. ანზორ აბშილავა;

პროფ. ანზორ აბშილავა: მოგახსენებთ, რომ „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ცენტრი“ ვერ ახორციელებს საკუთარ საქმიანობას და მოგმართავთ თხოვნით, რომ გაუქმდეს აღნიშნული ცენტრი.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. ანზორ აბშილავამ წარმოადგინა საკითხი „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ცენტრის“ გაუქმების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =819.

სენატმა გადაწყვიტა: გაუქმდეს „დისტანციური ზონდირებისა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ცენტრი“.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – სამეცნიერო-კვლევითი ჰიდროტექნიკური ლაბორატორიისთვის სასწავლო სტატუსის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =820 – მომხსენებელი პროფ. გივი გავარდაშვილი.

პროფ. გივი გავარდაშვილი: პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, ტექნიკურ უნივერსიტეტს შეუერთდა წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, როგორც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული. მე გახლავართ ამ ინსტიტუტის დირექტორი. ბატონი არჩილის დავალებით ჩვენ დავამუშავებთ აგროინჟინერიის პროგრამებს მელიორაციაში. ამ პროგრამებმა გაიარა აკრედიტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მოვახდინეთ სტუდენტების მობილობა მელიორაციის განხრით. შემდგომი საქმიანობისთვის გვესაჭიროება, რომ ჩვენს ლაბორატორიას დაემატოს სასწავლო სტატუსი.

სპიკერი: წარმატებები მინდა გისურვოთ. მართლაც დიდია თქვენი წვლილი ამ საქმიანობაში და, ვფიქრობ, სენატმა ეს საკითხი დადებითად უნდა გადაწყვიტოს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. გივი გავარდაშვილმა წარმოადგინა საკითხი სამეცნიერო-კვლევითი

ჰიდროტექნიკური ლაბორატორიისთვის სასწავლო სტატუსის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =820.

სენატმა გადაწყვიტა: სამეცნიერო-კვლევით ჰიდროტექნიკურ ლაბორატორიას მიენიჭოს სასწავლო სტატუსი.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი – სტუ-ს 90 წლის იუბილესთან დაკავშირებული ბუკლეტის დაფინანსების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =830 – მომხსენებელი პროფ. გოჩა მიქიაშვილი.

პროფ. გოჩა მიქიაშვილი: ეს საკითხი ეხება ფაკულტეტის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით ბუკლეტის გამოშვებას. გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ისტორიისა და მიღწევების ამსახველი ორენოვანი ბუკლეტის დიზაინის შექმნისათვის ქ-ნ სოფო კვანტალიანთან გაფორმდეს 1920 (ათას ცხრაას ოც) ლარზე შრომითი ხელშეკრულება.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. გოჩა მიქიაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს 90 წლის იუბილესთან დაკავშირებული ბუკლეტის დაფინანსების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =830.

სენატმა გადაწყვიტა: ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ისტორიისა და მიღწევების ამსახველი ორენოვანი ბუკლეტის დიზაინის შექმნისათვის ქ-ნ სოფო კვანტალიანთან გაფორმდეს 1920 (ათას ცხრაას ოც) ლარზე შრომითი ხელშეკრულება.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მერვე საკითხი – აკადემიკოს

თ. ლოლაძის სახელობის აღმასვლისა და კომპოზიციურ მასალების სამეცნიერო ცენტრისათვის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სტატუსის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =831 – მომხსენებელი პროფ. ზურაბ გასიტაშვილი

პროფ. ზურაბ გასიტაშვილი: წარმოგიდგენთ საკითხს აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის აღმასვლისა და კომპოზიციური მასალების სამეცნიერო ცენტრისათვის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სტატუსის მინიჭების შესახებ. აღნიშნულ საკითხზე არსებობს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =831. გვესაჭიროება სამი საშტატო ერთეული საბიუჯეტო დაფინანსებით (ერთი მთავარი სპეციალისტი, ორი უფროსი სპეციალისტი მხოლოდ ფაკულტეტის შტატების ხარჯზე) და გთხოვთ მხარი დაგვიჭიროთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მერვე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის აღმასვლისა და კომპოზიციურ მასალების სამეცნიერო ცენტრისათვის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სტატუსის მინიჭების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2012 წლის 4 დეკემბრის დადგენილება =831.

სენატმა გადაწყვიტა:

1. აკადემიკოს თ. ლოლაძის სახელობის აღმასვლისა და კომპოზიციურ მასალების სამეცნიერო ცენტრს მიენიჭოს სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის სტატუსი.
2. გამოეყოს სამი საშტატო ერთეული საბიუჯეტო დაფინანსებით (ერთი მთავარი სპეციალისტი, ორი უფროსი სპეციალისტი ფაკულტეტის შტატების ხარჯზე).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეცხრე საკითხი – ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი სამსახურის

საშტატო განრიგში სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის (ერთი წლის ვადით) დამატების შესახებ – მომხსენებელი პროფ. მერაბ ახოზაძე.

პროფ. მერაბ ახოზაძე: მოგახსენებთ, რომ შექმნილია სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი სამსახური, სადაც დასაქმდებიან სტუდენტები. ამისათვის კი გვესაჭიროება სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული ერთი წლის ვადით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეცხრე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე პროფ. მერაბ ახოზაძემ წარმოადგინა საკითხი ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის საშტატო განრიგში სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის (ერთი წლის ვადით) დამატების შესახებ .

სენატმა გადაწყვიტა: ეთხოვოს სტუ-ს ადმინისტრაციას ახალგაზრდა მეცნიერთა და სტუდენტთა ინოვაციურ საქმიანობათა ხელშემწყობი სამსახურის საშტატო განრიგს დაემატოს სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული (ერთი წლის ვადით).

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეათე საკითხი – სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მენეჯერის ბ-ნ გივი გილეთიანისა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერის ბ-ნ გიორგი კულდონაშვილის ინფორმაციები.

სტუ-ს სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მენეჯერმა ბ-ნმა გივი გილეთიანმა და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერმა ბ-ნმა გიორგი კულდონაშვილმა წარმოადგინეს გაწეულ საქმიანობაზე ინფორმაციები.

სპიკერი: ჩვენ მოვისმინეთ ინფორმაციები ორი მენეჯერის ბ-ნ გივი გილეთიანის და ბ-ნ გიორგი კულდონაშვილის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ და მინდა აღვნიშნო, რომ მათი საქმიანობა წარმატებულია. მივესალმებით, რომ ფაკულტეტები მომგებიანია და ვუსურვებთ მათ წარმატებას მომავალ საქმიანობაშიც. დღეს სენატის სხდომაზე მოწვეულია რექტორი, ბატონი არჩილ ფრანგიშვილი და მინდა ვკითხო, თუ

როგორი სახით იქნება წარმოდგენილი ჩვენი მომავალი წლის ბიუჯეტი, როგორი ხედვებია და, საერთოდ, რა საბიუჯეტო პოლიტიკასთან გვაქვს საქმე.

რექტორი, პროფ. არჩილ ფრანგიშვილი: მინდა მოგახსენოთ, რომ ბიუჯეტი იგეგმება ფაკულტეტებზე და ადმინისტრაციის როლი დიდი არ არის ამ საქმიანობაში. ერთადერთი საკითხია გასარკვევი: რა თანხა უნდა მისცენ ფაკულტეტებმა ადმინისტრაციას, რომ მან იფუნქციონიროს. კარგი იქნება, თუ დამტკიცებამდე მოვახდენთ მის წინასწარ განხილვას.

სპიკერი: წარმოგიდგენთ საკითხს, რომელიც არ არის დღის წესრიგით გათვალისწინებული და ეხება ქ-ნ თამარ რუსაძის განცხადებას. იგი გვთხოვს, რომ მასზე დაკისრებული თანხა (4 645 ლარი) დაფაროს ერთი წლის ვადაში ეტაპობრივად.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი. წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა -10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2012 წლის 12 დეკემბრის =17 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი ქ-ნ თამარ რუსაძის განცხადების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: დაკმაყოფილდეს ქ-ნ თამარ რუსაძის თხოვნა მისთვის დაკისრებული თანხის (4 645 ლარი) ერთი წლის ვადაში ეტაპობრივად დაფარვის შესახებ.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე